სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

ვაკანტური თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პროექტის დასახელება: ''არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა - ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერება საქართველოში''.
პროექტის განმახორციელებლები: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და ვორლდ ვიჟენ საქართველოს ფონდი.
პროექტის სამიზნე რეგიონები: თბილისი, იმერეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის რეგიონები (სულ 15 მუნიციპალიტეტი).

მომსახურების დაწყების თარიღი: ივლისი, 2023
მომსახურების დასრულების თარიღი: მაისი, 2024

პოზიცია: ექსპერტი/ტრენერი (იმუნიზაციის მიმართულება) (შრომითი ხელშეკრულებით)
რაოდენობა: 2 საკონკურსო ადგილი

ანაზღაურება: შეთანხმებით
გთხოვთ, წარმოადგინოთ ქვემოთ მითითებული შესასრულებელი სამუშაოსთვის შესაბამისი / მისაღები ანაზღაურება:

განაცხადის ვადა: 20.06.2023-30.06.2023
მისამართი: ქ. თბილისი 0198 კახეთის გზატკეცილი #99
ელ. ფოსტა: hr@ncdc.ge;
ტელეფონი: 116001

შესასრულებელი სამუშაო:

#	ვალდებულებათა აღწერა	შესრულების საორიენტაციო ვადები	ანაზღაურება
1.	**ორი ტიპის სასწავლო მოდულის შემუშავება შემდეგ საკითხებზე:** 1.1. სასწავლო პროგრამის მომზადება თემაზე - ვაქცინაციის პროცესისი მიმოხილვა საქართველოში, ვაქცინაციით მართვადი დაავადებები და ვაქცინები: ტუბერკულოზი, B ჰეპატიტი, ყივანახველა, დიფთერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპიხ, პნევმოკოკური ინფექცია, როტავირუსული ინფექცია, ადამიანის პაპილომავირუსი, წითელა, წითურა, ყბაყურა, კოვიდ19, გრიპი; ვაქცინაციის უკუჩვენებები და გაფრთხილებები, იმუნიზაციის შემდგომ გამოწვეული არასასურველი მოვლენები და მართვა, უსაფრთხო იმუნიზაციის წესები, ცივი ჯაჭვი, იმუნიზაციის სესიის მართვა, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი - უახლოესი ეროვნული და საერთაშორისო გაიდლაინებსა და	**15 ივლისი - 15 სექტემბერი**	

	სტანდარტებზე დაყრდნობით. (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პირველადი ჯანდაცვის პერსონალისთვის). 1.2.. სასწავლო პროგრამის მომზადება თემაზე - ვაქცინაციით მართვადი დაავადებები და ვაქცინები: ტუბერკულოზი, B ჰეპატიტი, ყივანახველა, დიფთერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპიb, პნევმოკოკური ინფექცია, როტავირუსული ინფექცია, ადამიანის პაპილომავირუსი, წითელა, წითურა, ყბაყურა, კოვიდ19, გრიპი; ვაქცინაციის ზოგადი წესები, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი . - უახლოესი ეროვნული და საერთაშორისო გაიდლაინებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით (სოციალური დაცვის მუშაკებისთვის). **ორივე პროგრამისთვის შესაბამისი კურიკულუმის მომზადება** ტექსტი და პრეზენტაციები, კურსის წინა და კურსის შემდგომი კითხვარები, უახლოესი ეროვნული და საერთაშორისო გაიდლაინებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით. ასევე, ელექტრონული მოდულისთვის ადაპტირებული ვერსიები. • კურიკულუმები უნდა იყოს გათვლილი 1-დღიანი ტრენინგებისთვის.		
2.	2 განსხვავებული ტიპის ტრენინგის ჩატარება: - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პირველადი ჯანდაცვის პერსონალისთვის; - სოციალური დაცვის მუშაკებისთვის;		
2.1.	ტრენინგები უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პირველადი ჯანდაცვის პერსონალისთვის:** ინფორმაციას 1.1.პუნქტში ჩამოთვლილ დაავადებების და ვაქცინაციის პროცესის განხორციელების შესახებ. სატრენინგო მასალაში გამოყენებული ინფორმაცია ვაქცინაციის პროცესისთან დაკავშირებული ინფორმაცია თანხვედრაში უნდა იყოს მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტებთან, კერძოდ, *„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, იმ ინფექციური დაავადებების სიის, რომელთათვისაც სავალდებულოა პროფილაქტიკური აცრები და პროფილაქტიკური აცრების ჩატარების ასაკობრივი მაჩვენებლების, ვადებისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანება.*		
2.2.	**სოციალური დაცვის მუშაკებისთვის:** ზოგად ინფორმაციას პუნქტში 1.2. ჩამოთვლილ დაავადებებზე, აცრების კალენდარზე, აცრების ჩატარების დროულობის მნიშვნელობაზე, ინფორმაცია აცრის შემდგომ რეაქციებზე და გართულებებზე, ვაქცინების უსაფრთხოებაზე, ცრუ და ნამდვილ უკუჩვენებეზე, საზოგადოებისათვის ვაქცინაციის მნიშვნელობაზე, და იმუნიტეტის ტიპებზე, ტრენინგის შემდეგ მსმენენელებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია ვაქინაციის საკითხებთან დაკავშირებით, რათა შემდგომში შეძლონ ამ ინფორმაციის მიზნობრივი გამოყენება - მიწოდება		
3.	ჯანდაცვის პერსონალის და საზოგადოების სოციალური მუშაკების მომზადება, (40 ერთდღიანი ტრენინგი)	**15 ოქტომბერი 2023 - 31 მაისი 2024**	

	• სამიზნე რეგიონები: თბილისი, იმერეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის რეგიონები; • ტრენინგის მონაწილეები: o 1000 ოჯახის ექიმი და ზოგადი პრაქტიკის ექიმი, ფსიქოლოგი; o 30 თემის ჯანდაცვის მუშაკი და თემის სოციალური მუშაკი.		

დამატებითი ინფორმაცია:

- მომსახურება არის შედეგზე დაფუძნებული.
- პერიოდულად საჭირო იქნება პროექტის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან პირისპირ შეხვედრები.
- საკონსულტაციო მომსახურების ვადაა რვა (11) თვე.
- პროექტი უზრუნველყოფს ტრენინგების ორგანიზებას;
- კონსულტანტების ტრანსპორტირების, სასტუმროსა და კვების ხარჯებს უზრუნველყოფენ თავად კონსულტანტები.
- კონსულტანტებმა ტრენინგები უნდა ჩაატარონ პროექტის სამიზნე რეგიონებში: თბილისი (10 რაიონი), იმერეთი (ქუთაისი, ზესტაფონი, ბაღდათი), კახეთი (თელავი, გურჯაანი, ყვარელი), სამცხე-ჯავახეთი (ადიგენი, ახალციხე, ბორჯომი) და აჭარა (ბათუმი).
- კონსულტანტმა უნდა უნდა წარმოადგინოს გაწეული სამუშაოს შუალედური (5 თვეში), საბოლოო ანგარიში (ხელშეკრულების დასრულებამდე 2 კვირით ადრე) და ყოველი ტრენინგის დასრულების შემდგომ ტრენინგებისა და საინფორმაციო სესიების მონაწილეთა სიები (ქაღალდის და ელექტრონული ვერსიები).
-

<u>საკვალიფიკაციო მოთხოვნები:</u>

სავალდებულოა:

- უმაღლესი განათლება: მედიცინის მიმართულებით.
- არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება იმუნიზაციის პროგრამის მიმართულებით და ჯანდაცვის პერსონალის გადამზადების კუთხით.
- ჯანმრთელობის საკითხებზე (კერძოდ, იმუნიზაციაზე და ვაქცინაციით მართვად დაავადებებზე) სასწავლო ტრენინ- მოდულების შემუშავების გამოცდილება.
- იმუნიზაციასა და ვაქცინაციით მართვად დაავადებებზე ტრენინგის ჩატარების გამოცდილება სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისათვის, მაგ., დარგის სპეციალისტები, სოციალური სფეროს მუშაკები, სხვა დაინტერესებული მხარეები) უპირატესობა მიენიჭება ინფორმაციის გაზიარებას ჩატარებული ტრენინგების შესახებ.
- ელექტრონული სასწავლო მოდულების შემუშავების გამოცდილება.
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა (ზეპირი და წერილობითი).

სასურველია:

- სახელმძღვანელოს შემუშავების გამოცდილება.
- საერთაშორისო სერთიფიკატი ჯანმრთელობის იმუნიზაციის და გადამდები დაავადებების სწავლების/ტრენინგების ჩატარების მიმართულებით.
- საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა დამუშავების ცოდნა.
- ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა (ზეპირი და წერილობითი).

უნარ-ჩვევები:

- მაღალი პასუხისმგებლობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება;
- ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- კომუნიკაბელურობა და ანგარიშგების კარგი უნარი;

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ: გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტაცია შემდეგ ელ. ფოსტაზე: hr@ncdc.ge.

- რეზიუმე (CV) ქართულ ენაზე (კანდიდატის განათლების, გამოცდილების, პროფესიული საქმიანობის სრული მიმოხილვა);
- განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.
- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები: შრომის წიგნაკი ან ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ;
- მიუთითოს ორი რეკომენდატორის გვარი და სახელი, თანამდებობა, ელ. ფოსტა და საკონტაქტო ტელეფონი.

კონკურსის ეტაპები

- განცხადების გადარჩევა
- გასაუბრება

გთხოვთ, პოზიციის სახელწოდება მიუთითოთ ელექტრონული ფოსტის hr@ncdc.ge სათაურში, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი რეზიუმე არ განიხილება.
დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის მეორე ეტაპზე.